


უფასო კონსულტაციისა და დახმარებისთვის
შეგიძლიათ მოგვმართოთ:



Sapari / საფარი

კავშირი "საფარი"

მისამართი: ქ. თბილისი,

ქანთარია 11ა, 0160.

ტელეფონი: 32 2 307 603

ვებგვერდი: www.sapari.ge


გახსოვდეთ, რომ ადრეული ქორწინება
მოგონებაა ქალადობაა, იძულებითი და
16 წლამდე პირთან ქორწინება კი -
დანაშაული!

ბავშვთა უფლებების დასაცავად და ადრეული
ქორწინების შესაჩერებლად დარეკეთ:

ბავშვთა ზრუნვა, სოციალური მომსახურების

სააგენტო - 1505

პოლიციის ცხელი ხაზი - 112



რა არის ადრეული ქორწინება?

ადრეულია ქორწინება, თუ არარეგისტრირებულ
ქორწინებაში მყოფი ერთი ან ორივე პარტნიორის
ასაკი 18 წელზე ნაკლებია. ადრეული ქორწინება
ბავშვთა უფლებების დარღვევაა, რადგან
არასრულწოვნებს საკუთარი ასაკიდან გამომდინარე
არ შეუძლიათ თავისუფალი, გააზრებული და
ინფორმირებული თანხმობის გაცემა ქორწინებაზე.

რა არის ქორწინება?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი რეგისტრირებული კავშირი. საქართველოში ქორწინება დაშვებულია სრულწლოვანებიდან, ანუ 18 წლის ასაკიდან.

16 წელს მიუღწეველ ბავშვთან
სრულწლოვანი პირის სქესობრივი
კავშირი დანაშაულია!

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, „სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 7-დან 9 წლამდე.

ქორწინების იძულება აკრძალულია

არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვან გოგონას გათხოვებას ოჯახი/მშობელი აიძულებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 150-ე პრიმა მუხლის თანახმად, ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე. არასრულწლოვანის იძულებით ქორწინება კი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4 წლამდე.

ადრეული ქორწინება საქართველოში

საქართველოში მცხოვრები ქალების 17 პროცენტი 18 წლის შესრულებამდე დაქორწინდა. იმის გამო, რომ ადრეული ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია დაურეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის შესახებ. თუმცა, ოფიციალური მონაცემების თანახმად საქართველოში ყოველ დღე 4 არასრულწლოვანი გოგონა ხდება დედა.

ადრეული ქორწინების
თანამდავი პრობლემები

შეფერხება განათლებაში

ადრეულ ასაკში დაქორწინებული მოზარდებისთვის ოჯახი სწავლის გაგრძელების ბარიერად იქცევა. ორივე პარტნიორი იძულებულია, სწავლის პროცესი ან შეკვეცილი ფორმით გააგრძელოს, ან სულაც შეწყვიტოს. უმაღლესი განათლების მიღების შანსი ამ შემთხვევაში სულ უფრო მცირდება. ბავშვის გაჩენის შემდეგ კი პრაქტიკულად ისპობა. ამ შემთხვევაში, საკუთარი უკეთესი მომავლისთვის და სწავლისთვის განკუთვნილი რესურსი ოჯახის მოვლას, ბავშვზე ზრუნვას და სხვა პრობლემების მოგვარებას ხმარდება.

ეკონომიკური სირთულეები

იმის გამო, რომ ადრეულ ასაკში დაქორწინებულ მოზარდებს ჯერ არ აქვთ განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები, მათ არ შეუძლიათ შემოსავლიანი სამსახურის შოვნა. ისინი მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგანან: მათი შემოსავალი მწირი და არასტაბილურია, ზოგჯერ კი ორივე პარტნიორი უმუშევარია.

ღირებულებათა გადაფასება

ადრეულ ასაკში არასრულწლოვნების ფსიქო-სოციალური ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ მომავალში ხშირ შემთხვევაში ეცვლებათ ღირებულებათა სისტემა, შეხედულებები სხვადასხვა საკითხებზე, გემოვნება, მისწრაფებები, ინტერესები, მიზნები. წყვილს შორის ამგვარი აცდენები ხშირად ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახის დანგრევის მიზეზი ხდება.

საქმიანო საფრთხე

ჯანმრთელობის მხრივ რეალური საფრთხე ექმნებათ ადრეულ ქორწინებაში მყოფ გოგონებს, რომელთა ფიზიკური განვითარება ჯერ კიდევ მოზარდობის სტადიაში იმყოფება და სრულად არ არის მომწიფებული სქესობრივი ცხოვრების, დედობის, აბორტისა და ამ ყველაფრის თანმხლები გინეკოლოგიური თუ სხვა დაავადებისთვის. მოზარდობის ასაკში მიმდინარე ორსულობა და მშობიარობა გოგონას ჯანმრთელობას ზიანს აყენებს და ზრდის გართულებების ალბათობას.